



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება

131-01-4-201512311019



N 01/131-ო
31/12/2015

ქ.თბილისი

შპს “სადაზღვევო კომპანია პარტნიორში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 25 ნოემბრის №837-ე და 2012 წლის 29 მაისის №669 –ე განკარგულებების თანახმად გამოცემული საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 1 აგვისტოს №01/9-ო ბრძანებით განსაზღვრული იძულებითი ადმინისტრაციის გაუქმებისა და აღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „ზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შპს “სადაზღვევო კომპანია პარტნიორში“ (ს/კ 205224675) იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 25 ნოემბრის №837-ე და 2012 წლის 29 მაისის №669-ე განკარგულებების თანახმად გამოცემული საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 1 აგვისტოს №01/9-ო ბრძანება გამოცხადდეს ძალადაკარგულად და შესაბამისად გაუქმდეს ამ ბრძანებებით დანიშნული იძულებითი ადმინისტრაცია.

2.დროებითი ადმინისტრატორის გათავისუფლების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს “სადაზღვევო კომპანია პარტნიორის“ მარეგისტრირებელ ორგანოს.

3.იძულებითი ადმინისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი აღნიშვნისათვის. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.

4.ამ ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ოსებ გოგოლაშვილი



სამსახურის უფროსი